# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ.თბილისი 07.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ელგუჯა მელაძე** – ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცის პრეზიდენტი; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);

**მანანა მახარაშვილი** - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);

**მამია ჯანჯალია** - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;

**მალხაზ შურღულაია** - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;

**ეკატერინე ნარეშელაშვილი** – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;

**მიხეილ ჭელიძე** – ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი;

**ელენე ალადაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითრების დირექტორი.

**თამარ ტაბიძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**კახაბერ ერაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

**ნინო მეგრელი** - მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის დანერგვის კოორდინაციის სპეციალისტი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანის" წარმომადგენლები:**
ფრიდონი ბუაძე - დირექტორი
ილია ოშხერელი - დირექტორის მოადგილე

**სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' წარმომადგენელი:**
ირაკლი სალუქვაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი
**შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის წარმომადგენლები:**
იზოლდა ხალვაში - პროფესიული პროგრამების მენეჯერი
მანანა ხაბაძე - პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

**შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის წარმომადგენელი:**
გოდერძი ფრანგიშვილი - დირექტორი
**ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟის წარმომადგენელი:**
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
**ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტის წარმომადგენელი:**
ნანა ჯოლია - დირექტორი
**ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადის წარმომადგენლები:**
ანა დათუაშვილი - დირექტორი
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
**ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის წარმომადგენლები:**
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ეკატერინე კორძაია - ხარისხის მართვის მენეჯერი

**სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:**
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი
ნინო ძაგანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**სხვა დამსწრე პირები:**
მარინა გოგოლაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ამიტომაც ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით მისადმი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დააკისრა მანანა მახარაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
5. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

7. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

8. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

9. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

10. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

11. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს მოასენა, რომ დღის წესრიგით მეშვიდე საკითხად გათვალისწინებულია ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. აღნიშნული საკითხის ფორმულირებაში არასწორადაა მითითებული გადაწყვეტილების თარიღი, მითითებული უნდა იყოს ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. ასევე, დღის წესრიგით მეცხრე საკითხად გათვალისწინებული იყო ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანა საჭიროება არ დგას, ამიტომ აღარ განიხილება საკითხი.

ასევე შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით მე-11 საკითხად გათვალისწინებული საკითხი - სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის

განხილვა, განხილულიყო დღის წესრიგის მიხედვით მეორე საკითხად, რადგან პირველი საკითხი ეხებოდა იმავე დაწესებულებას.

მამია ჯანჯალიამ, როგორც სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორმა, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით მე-10 საკითხად გათვალისწინებული საკითხი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა, განხილულიყო დღის წესრიგის მიხედვით მესამე საკითხად.

კახაბერ ერაძის და მამია ჯანჯალიას შუამდგომლობების საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
7. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
8. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
9. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულებაში 2018 წლის 31 იანვრის N07/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროგრამეზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

კახაბერ ერაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის გ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების $30^2$ მუხლის პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე.
ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი ითვალისწინებს რიგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის განხილვას, აქვე აღნიშნა, რომ როგ შემთხვევებში დაწესებულებებმა მოითხოვეს საგნობრივი პროგრამების გაუმება, რის შესაბამისადაც დაკორექტირდა გადაწყვეტილებები.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საკითხის ამგვარად დასმას.

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა.

ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30$^{2}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო ცვლილებამ მიაღწია 10 %-ს, დაწესებულება ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ორი პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმე. ორივე პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია შრომის ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მეფუტკრისა და ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიული პროგრამების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის მიხედვით ფიქსირდება, რომ ორივე მათგანს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. მეფუტკრის პროგრამის პროფესიულ მასწავლებელს ასევე აქვს შესაბამისი დარგის მიმართულებით ტრენინგის სერთიფიკატი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ამ მაწავლებელს აქვს 24 წლიანი გამოცდილება მეფუტკრეობაში. ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიული პროგრამების მასწავლებლის შრომის წიგნაკის მიხედვით ვლინდება, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება აქვს.
ნინო სტეფანიშვილის მოსაზრებით აღნიშნული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანისთვის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 91-ით.
კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა ფრიდონ ბუაძემ.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №20 გადაწყვეტილებაში.

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 91-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტრაქტორისტ-მემანქანე | მესამე | ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041551 | 40 | ქართული | 15 | ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 |
| 2 | იუველირი | მესამე | იუველირის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080356 | 35 | ქართული | 12 | ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 |
| 3 | მემინანქრე | მესამე | მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355 | 35 | ქართული | 12 | ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 |
| 4 | მეღვინე | მესამე | მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010459 | 60 | ქართული | 15 | ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 |

**3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

მამია ჯანჯალიამ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივი პროგრამის გაუქმებას და მოდულურ პროგრამებში კრედიტების რაოდენობის ცვლილებას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 616-ით.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღინიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის წარმომადგენელმა, ირაკლი სალუქვაძემ. აქვე აღინიშნა, გამომდინარე იქიდან რომ სასწავლო გეგმა შედგენილია კვირეული დატვირთვის მიხედვით, კოლეჯს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 12 მარტიდან. აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა საბჭო.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილება:**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში.

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 205339944) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 616-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1) | მესამე | ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165 | 66 | 81 | ქართული | 112 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |
| 2 | საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (1) | მესამე | საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163 | 70 | 85 | ქართული | 84 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | 112 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |
| 4 | ვებ ინტერფეისის დიზაინერი (1) | მესამე | ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166 | 63 | 78 | ქართული | 112 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1) | მეოთხე | სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164 | 127 | 157 | ქართული | 84 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |
| 6 | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1) | მეხუთე | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161 | 121 | 151 | ქართული | 112 | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*
*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

გ) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 12 მარტი.

4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა იზოლდა ხალვაში, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა.

ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 14 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. გამოვლინდა რომ დარღვეული იყო 2.7 ქვესტანდარტი, დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ ხარვეზის გამოსასწორებლად, კოლეჯს განუსაზღვრა 60 დღე. ცენტრმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი შესაბამისი ფოტომასალა.

ნინო სტეფანიშვილის მოსაზრებით, აღნიშნული ფოტომასალა ადასტურებს, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245409838) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ხუბუნაიამ და ვახტანგ ბოგველიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 31 იანვრის №72 ბრძანებთ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება ცენტრის დირექტორის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ უნდა იყოს მოცემული სარეკომენდაციო ხასიათის დებულებები, ამასთან სტუდენტის შეფასების მეთოდებს განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულებში მიუთითებს კონკრეტული სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტულ მეთოდს. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულებსა და მის დანართებში ტერმინი „სარეკომენდაციო“ აღარ უნდა იყოს გამოყენებული.

მოდულში - „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“, მითითებულია შემდეგი საათობრივი განაწილება: საკონტაქტო - 85, დამოუკიდებელი - 36, შეფასება - 4, ხოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემდეგი სახით: საკონტაქტო - 82, დამოუკიდებელი - 36, შეფასება - 7 საათი, რაც ერთმანეთთან შეუსაბამოა.
სასწავლო გეგმაში მითითებულია „დანართი 23“-ის ნაცვლად „დანართი 24“.
ექსპერტთა რეკომენდაციაა გასწორდეს ზემოაღნიშნული ტექნიკური შეუსაბამობები.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N26/01 ბრძანების პირველ პუნქტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „შპს შავი

ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 04.07.2016 წლის N11/01 ბრძანებით დამტკიცებულ „ბუღალტრისა“ და „მიღება-განთავსების სპეციალისტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ დანართებში, შეტანილ იქნას ცვლილებები, კერძოდ, მოხდეს მათი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით გადამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.“ ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულები 2017 წლის 2 ნოემბრის ცვლილებით, რაც წინააღმდეგობაში მოდის დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებასთან.

ექსპერტების მოსაზრებით, ვინაიდან, დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N26/01 ბრძანებით ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოყვანილიყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით გადამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებთან,“ სასურველია აღნიშნულ პროგრამას ახლდეს 2017 წლის 13 ოქტომბრამდე დამტკიცებული მოდულები.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ზოგადი და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების დამხმარე ჩანაწერების 3.6 პუნქტში მოცემულია „რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის“. ჩანაწერი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოდულების ადაპტირების დროს უნდა მიუთითოს თუ როგორ განახორციელებს ზემოაღნიშნული პირების სწავლებას. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულებსა და მის დანართებში ტერმინი „სარეკომენდაციო“ არ უნდა იყოს გამოყენებული.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მოდულებში - „ინგლისური ენა“, „ქართული ენა A2, „ქართული ენა B1“ - პროგრამის განმახორციელებელი პირის ნაცვლად მოცემულია ჩანაწერი „მოდულის შემუშავებაში მონაწილე პირი/პირები“ ან „მოდულის ავტორები“.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-10 პუნქტის მიხედვით, „განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არც სასწავლო გეგმაშია მითითებული განმსაზღვრელი შეფასების გადაბარების/დამატებითი შეფასების პერიოდი/შესაძლებლობა. დაახლოებით ორწლიანი პროგრამისათვის სასწავლო გეგმა სრულადაა გაწერილი პირველიდან 68-ე კვირის ჩათვლით., მაგალითად: მოდულის - „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ წინაპირობას წარმოადგენს მოდული: „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“; და ა.შ სასწავლო გეგმის მიხედვით, „კომპიუტერულ

საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ ისწავლება მე-15 - 36-ე კვირის განმავლობაში, ხოლო მოდულის - „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ სწავლება იწყება 37-ე კვირიდან. აღნიშნულის მიხედვით, თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგებს იმ მოდულებში, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას (ამ შემთხვევაში 36-ე კვირაში), ის ვერ გააგრძელებს სწავლას შემდგომ მოდულზე (ამ შემთხვევაში - „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“).

ექსპერტთა მოსაზრებით, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების/მიმდინარეობის პროცესის შესახებ სრულ ინფორმაციას იძლევა სასწავლო გეგმა, ზემოთ მოცემული ჩანაწერის მიხედვით, პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის დასადასტურებლად მიცემული პერიოდი ფორმალურია და იძლევა იმის შთაბეჭდილებას, რომ პროფესიულმა სტუდენტმა ან აუცილებლად უნდა დაადასტუროს სწავლის შედეგი პირველივე შემთხვევისას, რაც პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირია, ან ის ვერ გააგრძელებს სწავლას სხვა მოდულებზე. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია დაწესებულებამ დაადგინოს სწავლის შედეგების გადაბარების გონივრული ვადა, თუნდაც იმ მოდულებზე, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას.

თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების დირექტორს რა მოსაზრება ჰქონდა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით. კოლეჯის დირექტორმა, გოდერძი ფრანგიშვილმა, განმარტა, რომ 36-ე კვირას სრულდება პირველი სასწავლო წელი და 37-ე კვირას იწყება მეორე სასწავლო წელი. დებულების მიხედვით სტუდენტს აქვს გადაბარების განსაზღვრული ვადა.

მამია ჯანჯალიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასწავლო წლების განსაზღვრა მოდულური პროგრამის სპეციფიკისათვის ამ შემთხვევაში არ ცვლის იმ გარემოებას, რომ წინაპირობების გათვალისწინებით (36 კვირისა და 37 კვირის ვადების გათვალისწინებით) სტუდენტს არ აქვს სწავლის შედეგების გადაბარების გონივრული ვადა.

ელგუჯა მელაძის მოსაზრებით არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის, განსაკუთრებით კი ა) პუნქტის მოთხოვნებს შეფასების ნაწილში და სტუდენტებისათვის არ არსებობს მათთვის მინიჭებული განმეორებით შეფასებაზე გასვლის რეალიზების შესაძლებლობა.

საკითხის განხილვა დასრულდა დღის წესრიგის ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმა, ესარგებლათ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით და დაწესებულებისათვის განესაზღვრათ ხარვეზის გამოსწორების 60 დღიანი ვადა. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა თავმჯდომარის წინადადებას.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიას არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცეს 60 დღე. ამავე დებულების 31-ე მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე საბჭო ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით, ავტორიზაციის სამივე სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით 60 დღის შემდეგ კოლეჯში განხორციელდეს მონიტორინგი და შედეგები ეცნობოს საბჭოს.

6. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,პრესტიჟს'' საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა ნაირა ჭინჭარაშვილი, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 630-ით.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის წარმომადგენელმა, ნაირა ჭინჭარაშვილმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №28 გადაწყვეტილებაში.

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,პრესტიჟს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 231287005) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული

კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 630-ით.

ზ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების; ფრინველებისა და თევზების და სხვა) | მესამე | ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების; ფრინველებისა და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010251 | 45 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 2 | რძის გადამმუშავებელი | მესამე | რძის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010453 | 75 | ქართული | 10 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 3 | ზეინკალ-სანტექნიკოსი | მესამე | ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676 | 45 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სასტუმრო საქმისმწარმოებელი | მესამე | სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053 | 60 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 5 | ბუღალტერი | მესამე | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151 | 45 | ქართული | 80 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 6 | ინფორმაციული ტექნოლოგი | მესამე | ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153 | 45 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 7 | კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი | მესამე | კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040154 | 45 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 8 | სტილისტი (ქალი,მამაკაცი) | მესამე | სტილისტის (ქალი, მამაკაცი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080368 | 45 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 9 | მეღვინე | მესამე | მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი 010459 | 60 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | მეფილე-მომპირკეთებელი | მესამე | მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040654 | 45 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 11 | დურგალი | მესამე | დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040952 | 60 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 12 | ელექტრიკოსი | მესამე | ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557 | 60 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 13 | მზარეული | მეორე | მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463 | 45 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 14 | მზარეული | მესამე | მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463 | 45 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 15 | გიდი | მესამე | გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051 | 60 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| 16 | თექის ხელოსანი | მესამე | თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080364 | 45 | ქართული | 30 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356 | 60 | ქართული | 40 | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |

**7. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხებასაგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებით განისაზღვრა 750-ით, რაც წარმოდგენილ პროგრამებზე სრულად გადანაწილებულია. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა, ნანა ჯოლიამ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი | მესამე | მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010159 | 60 | ქართული | 36 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 2 | მზარეული | მეორე | მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463 | 45 | ქართული | 90 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 3 | მზარეული | მესამე | მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463 | 45 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 4 | მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) | მესამე | მეტყევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010551 | 50 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 5 | ბუღალტერი | მესამე | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151 | 45 | ქართული | 90 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 6 | გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.) | მესამე | გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051 | 60 | ქართული | 36 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | სასტუმრო საქმისმწარმოებელი | მესამე | სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053 | 60 | ქართული | 40 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 8 | სარესტორნო საქმისმწარმოებელი | მესამე | სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112054 | 45 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 9 | კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი | მესამე | კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040154 | 45 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 10 | ელექტრიკოსი | მესამე | ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557 | 60 | ქართული | 40 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 11 | სავალი ნაწილის ტექნიკოსი | მესამე | სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769 | 60 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 12 | სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040959 | 45 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | საკერავი მანქანების ოპერატორი | მესამე | საკერავი მანქანების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040961 | 30 | ქართული | 20 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 14 | ტრაქტორისტ-მემანქანე | მესამე | ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041551 | 40 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 15 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360 | 60 | ქართული | 48 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 16 | სტილისტი (ქალი,მამაკაცი) | მესამე | სტილისტის (ქალი,მამაკაცი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080368 | 45 | ქართული | 90 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |
| 17 | შემდუღებელი | მესამე | შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272 | 45 | ქართული | 30 | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8 |

8. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 401-ით.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა ანა დათუაშვილმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №27 გადაწყვეტილებაში.

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადს (საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 401-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების; ფრინველებისა და თევზების და სხვა) | მესამე | ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების; ფრინველებისა და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010251 | 45 | ქართული | 20 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 2 | რძის გადამმუშავებელი | მესამე | რძის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010453 | 45 | ქართული | 15 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 3 | ხილ–ბოსტნეულის გადამმუშავებელი | მესამე | ხილ–ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010451 | 50 | ქართული | 12 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 4 | მეხილე | მეორე | მეხილის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010157 | 15 | ქართული | 12 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | მეხილე | მესამე | მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010157 | 20 | ქართული | 10 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 6 | ზეინკალ-სანტექნიკოსი | მესამე | ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676 | 45 | ქართული | 30 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 7 | დურგალი | მესამე | დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040952 | 60 | ქართული | 15 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 8 | მებათქაშე | მესამე | მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040653 | 45 | ქართული | 15 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 9 | შემდუღებელი | მესამე | შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272 | 45 | ქართული | 15 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 10 | მეფილე-მომპირკეთებელი | მესამე | მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040654 | 45 | ქართული | 30 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| 11 | ელექტრიკოსი | მესამე | ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557 | 60 | ქართული | 30 | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | მღებავი | მესამე | მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040655 | 45 | ქართული | 15 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 13 | კალატოზი | მესამე | კალატოზის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040652 | 45 | ქართული | 12 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 14 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360 | 60 | ქართული | 20 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 15 | სტილისტი (ქალი,მამაკაცი) | მესამე | სტილისტის (ქალი,მამაკაცი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080368 | 45 | ქართული | 30 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 16 | ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356 | 60 | ქართული | 40 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 17 | ბუღალტერი | მესამე | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151 | 45 | ქართული | 40 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| 18 | მასაჟისტი | მესამე | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651 | 60 | ქართული | 40 | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |

9. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 2016 წელს. რადგან ამ პერიოდში ახალი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული არ იყო ჩარჩო დოკუმენტი, კოლეჯმა ახალი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგნობრივი პროგრამები წარმოადგინა საავტორიზაციოდ.
კახაბერ ერაძემ განმარტა, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. ამავდროულად კოლეჯმა წარმოადგინა ინფორმაცია ზემოთ ხსენებულ გადაწვეტილებაში ტექნიკური უზუსტობის შესახებ: სამთო გამყოლის მეოთხე საფეხურის პროგრამაზე 73 კრედიტია მითითებული 75 კრედიტის ნაცვლად.
კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში მითითებული დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რჩება უცვლელად
კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა გიორგი მაღლაკელიძემ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 აგვისტოს №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფეხმავლო გამყოლი | მესამე | საფეხმავლო გამყოლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112060 | 25 | ქართული | 15 | ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური |
| 2 | სამთო გამყოლი | მეოთხე | სამთო გამყოლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112059 | 75 | ქართული | 15 | ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური |

10. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში განისაზღვრა 400-ით, რაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში სრულიად გადანაწილებულია. შესაბამისად დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რჩება უცვლელად.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებით მწვრთნელის მეოთხე საფეხურის და მასაჟისტის მესამე საფეხურის პროგრამების განხორციელების უფლება მიენიჭა დამატებით ქ. ქუთაისში და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვრა 75-ით. თუმცა ამ დროისათვის მისამართების მიხედვით კვოტების განსაზღვრის უფლებამოსილება საბჭოს არ ჰქონდა. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში გადაწყვეტილებაში ამ პროგრამების (მწვრთნელი, მასაჟისტი) შესახებ ინფორმაცია სრულად თავმოყრილია, კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარა საბჭომ.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მწვრთნელი (სპორტის სახეობების მიხედვით) | მეოთხე | მწვრთნელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111251 | 120 | ქართული | 245 | ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49 |
| | | | | | | 74 | ქ. ქუთაისი, უზნაძის №26 / როძევიჩის №2 |
| 2 | მასაჟისტი | მესამე | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651 | 60 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | სამთო გამყოლი | მეხუთე | სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112059 | 120 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49 |

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 15:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
მანანა მახარაშვილი